

1978 წ. № 15 (6080) იანვარი. შაბათი. ფასი 3 კპა.

საპარტვილო სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов



დამთავრდა მოსკოვის ოლიმპიური სოფლისთვის გათვალისწინებული 18 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლიდან პირველი შენობის აგება.

მეტროს სადგურ „ფოტო-ზაპაღანია-დან“ ამ ულამაზეს სახლამდე სულ ერთი ნაბიჯია. მომავალში, როცა ახალი მასივი ფართო მაგისტრალებით დაისრუდება, დედაქალაქის ეს უბანი ერთ-ერთი საუკეთესო კუთხე იქნება.

ახლასან აგებულ შენობას მემორიალური კომპლექსური პრიადის ხელმძღვანელთან — რსფსრ-ის დამსახურებულ მშენებელ ი. ლომინთან ერთად ვეწვიეთ.

ყოველ სართულზე, — აგვისსა დიომინმა, — განლაგებულია ორ-ორი ორთასიანი და სამოთახიანი ბინები, რომლებსაც აქვთ დიდი საშარეულო, კედლის კარადები და ანტრესოლები, მსასხერებელი ბოლები. ყველა ბინაში იქნება ტელეფონი.

ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების ნაკრები გუნდები თავს მოიყრიან შენობების პირველ სართულზე განლაგებულ დიდ ვესტაბულებში.

ახლასან მოსკოვის ოლიმპიური სოფლის მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნო სოკ-ის პრეზიდენტი ლორდი მ. კილანიანი. მან აღნიშნა არჩეული პროექტის რაციონალურობა, მშენებლობის კარგი ტემპი, რომელიც, მისი თქმით, უსწრებს წინა თამაშებისთვის ოლიმპიური სოფლის აგების ტემპს.

სურათზე: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლორდი მ. კილანიანი (ცენტრში) მოსკოველ მშენებელთა ჯგუფთან ოლიმპიური სოფლის პირველი სახლის წინ.

გაზეთი სახელოვან ტრადიციებზე

ფიქრისა სპორტის ვებარანთა საბჭო

რესპუბლიკის მოსახლეობაში, განსაკუთრებით მოზარდთა შორის პატრიოტული გრძობების ამაღლებაში, ფიზკულტურისა და სპორტისადმი ინტერესის გაღვივებასა და მათი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მასობრივ-სპორტული სახეობებში მიზიდვის საქმეში დიდი როლი ენიჭება სპორტის ვებარანთა კავშირს, მათი გამოცდილებისა და პრაქტიკული ცოდნის გადაცემას.

საქართველოს სპორტკომიტეტის რედაქციის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის ფიზკულტურისა და სპორტის ვებარანთა-აქტივისტთა მიხედვით მიზნით შექმნა ფიზკულტურისა და სპორტის ვებარანთა-აქტივისტთა რესპუბლიკური საბჭო. იგი ნებაყოფლობით მასობრივ ორგანიზაციაა, რომლის მუშაობა დაფუძნებულია მისა შეჯერების შემოქმედებით აქტიურობასა და ინიციატივაზე, სპორტულ ორგანიზაციებში მიქროს კავშირზე.

საბჭოს მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობის ფართო ფენებში ფიზკულტურულ-სპორტული მოქალაქისა და პატრიოტული გრძობების ამაღლებას, შეისწავლოს, მსჯელოს და საზოგადოებრივი მხრი შექმნას იმ ხარვეზებსა და მიზნებზე, რომლებიც ხელს უშლის რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას, თავისი კრიტიკული შენიშვნებით, მოხალდეებით და მოსახერხებელი სპორტკომიტეტის შეთანხმებით სპორტის სათანადო ორგანიზებაში, გამოაქვეყნოს პრესაში, მასობრივ მითარხებს რადიოსა და ტელევიზიის; მოაწიოს სპორტის ქობაში ფორტო-ნამუშევრების, სპორტულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებების, სპორტული სუვენირების კოლექციონერთა გამოცემების; მოიძიოს და რესპუბლიკის მოზარდებსა და ინტერესებულ ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ გამოსაცემ სათანადო სპორტული ექსპონატები, მასალები; ქართული სპორტის ისტორიის მეცნიერული მონოგრაფიის მოსამზადებლად და გამოსაცემად შეჯერდეს და შეისწავლოს საჭირო მასალები და დოკუმენტები; იმ ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გამოსაცემად აშხალდებენ სპორტულ პროგრამებს, ბუკლეტებს, ცნობებსა და სხვა ლიტერატურას სისტემატურად მოაწოდოს სტატისტიკური მონაცემები,

ინფორმაცია, ფოტო და სხვა მასალები, დახმარება გაუწიოს სპორტულად აღვილის მიხედვით, კულტურისა და დასვენების პარკებში, სპორტულ ნაკვეთებთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მასობრივად გაშლას; მოაწიოს გამოჩენილი სპორტსმენების, ვეტერანებთან შეხვედრები წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; გამართოს დისკუსიები, ვიქტორინები, კითხვა-პასუხის საღამოები...

ფიზკულტურისა და სპორტის ვებარანთა საბჭოს უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც საბჭოს გამგეობის თათი წლის ვადით ირჩევს. თავის მხრივ გამგეობა 11 კაცის ოდენობით ასევე თათი წლით ირჩევს საბჭოს პრეზიდენტს, რომელიც საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციის უწყვეტ რესპუბლიკაში აღვილებზე არსებულ ვებარანთა საბჭოების მუშაობას.

ფიზკულტურისა და სპორტის ვებარანთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სპორტკომიტეტი. ვებარანთა საბჭოს პრეზიდენტთან იქმნება სექტორები: საორგანიზაციო მუშაობის; პროპაგანდა-აგიტაციის; მასობრივ-ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი; სპორტულ-მეთოდური; მშდ კომპლექსის, ომის ვებარანთა და ქალთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობისა.

თითოეული სექტორი იწვევა სპორტის ცალკეულ სანეობათა პროპაგანდასა და აგიტაციას; ქართული სპორტის ისტორიის შესწავლის მიზნით აგრეგებს მასალებს, დოკუმენტებს, მემორიალურ ნივთებს; პრესის, რადიოსა და ტელევიზიის დახმარებით გულშემატკივრებს აცნობს მნიშვნელოვან მოვლენებსა და ფაქტებს ქართული სპორტის ისტორიიდან; დაინტერესებული აწიოს ამომწურავ ინფორმაციებს, ცნობებს სპორტის ნებისმიერ საკითხებზე. ანალიზებს შეჯიბრებებსა და ცალკეულ შეხვედრებს, ეწევა ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას, შემოქმედებითი მოღვაწეობის პირობებს უქმნის კინო-ფოტოოპერატორებს.

ფიზკულტურისა და სპორტის ვებარანთა საბჭოს წევრებს უფლება აქვთ აირჩიონ და არჩეულ იქნან საბჭოს ხელმძღვანელ ორგანიზაციებში, საქმიანი მონაწილეობა მიიღონ სექტორებისა და გამგეობის მუშაობისას ნებისმიერი საკითხის განხილვის დროს.

მოსწავლეთა სპარტაკიადის წინ

მოსწავლეთა სპარტაკიადის წინადასრულების მოსამზადებელმა რესპუბლიკური სპორტკომიტეტისა და სპორტული განათლების სამინისტროს გაერთიანებულმა შტაბმა შედგარა მოწვეული ნორჩ ფეხბურთელები, მოფარევეები, ველოსპორტისტები, მწერტინელები, ხელმძღვანელები, იმთ, ვინც ოქტობრში ტრენინგში უნდა დაიკავონ მათი რესპუბლიკის სახელი.

საქართველოს სპორტკომიტეტის თაგმჯდომარე დ. პეტრეიანამ ახალგაზრდა სპორტსმენებს შეახსენა, რომ მოსწავლეთა სპარტაკიადის სპარტაკიადის ლენინური კომპაგვიის მე-60 საიუბილეო წელს იმართება და რომ ეს დიდი ფორუმი საბჭოთა კავშირის ბალთა მომავალი სპარტაკიადის ნაწილია: ამდენად, საქართველოს წარგზავნილებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ წარმატებისთვის.

შეჯერებაზე გუნდების მზადების, მუშაობის, პირობებების შესახებ ისაუბრეს უფროსმა მწვრთნელებმა თ. კუბლაშვილმა (ფეხბურთი), გ. ქიჩიაშვილმა (ფეხბურთი), გ. ჯიბაძემ (ველოსპორტი), გუნდების კაპიტანებმა, კომორგებმა, ექიმებმა. შეხვედრაზე მყოფმა სხვა პასუხისმგებელმა პირებმა.



თსიდაეკაი

ორი ჩეხიონი

სლაპსკამის მიდამოებში მიმდინარეობს „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს სამთა-მოთხილამურეთა პირველობა მოზარდთა შორის. შეჯიბრებაში კარგად ასპარეზობენ საქართველოს სპორტსმენები — ბაქურაიანის სპორტკოლის მოსწავლეები.

გოგონათა შორის წარმატებით გამოდის მ. კოზანაშვილი, რომელმაც როგორც ვიგანტურ სლალომში, ისე სწრაფდამევაში ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება მიიღო. მისმა თანაგუნდელმა თ. გელაშვილმა კი სწრაფდამევაში III სპარზო ადგილი დაიკავა.

ჭაბუკთა შორის ვ. ხანაკოვემა ყველას აჯობა ვიგანტურ სლალომში, ხოლო სწრაფდამევაში ფინიშთან მესამე მივიკა.

ჩეკაოსნოვა

პირველად ასპარეზეს საბჭოთა ძალისხმევა „ტორნიმ-კოპენჰაგენი 78“-ის თასის გათამაშებაში, რომელშიც 9 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და ექვს წინაშე კატეგორიაში გაიმარჯვეს. ესენი არიან ი. გორონინი (56 კგ) — 232,5 კგ, მ. გოლოკოვი (60) — 267,5, ნ. კოლესნიკოვი (67,5) — 265, ვ. მოლიტოხინი (82,5) — 325, ხ. არქელოვი (100) — 372,5, ი. ზაიცევი (110) — 380.

დუშეთის განათლების რაიონულმა განყოფილებამ და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიონმა კულტურის სახლში მოაწიეს თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია: „მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა“.

კონფერენციაზე მონსენებით გაზეიდნენ რაიონის განათლების განყოფილების სკოლაშვილი აღზრდის მეთოდისტი ჯ. ლითანიშვილი, დუშეთის მე-2 და 1-ლი, ბაზალეთისა და ქინვალის ბავაბალების ომშრდლები მ. ბორძიკული, ვ. ზუბოვა, თ. გემაგური და ნ. ჯავახიშვილი, დუშეთის 1-ლი და ქინვალის საშუალო სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლები ბ. ბადავაძე და ი. ფანჯარაძე, ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი ჯ. თამაძე.

მომსენებლებმა ისაუბრეს რაიონში მოზარდთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობაზე და მის

ბრძოლა გამაჯანსაღებელ

თბილისში, ჭადრაკის სახელმწიფო მიწურა დედაქალაქის ვაჟთა პირველობის ფინალი. 16 ტურის შემდეგ ლიდერია შორის არიან ოსტატი ი. ჩიკოვაძე — 11 ქულა, ნ. გურიელი — 8,5 ქულა და ორი გადადებული პარტია, გ. ცხენლაშვილი — 8,5 (1), ი. ციტიშვილი — 8,5, ზ. ლიფონავა, გ. მაქარაშვილი — 7,5-7,5, კ. ჩიკოვაძე — 7 (1), ვ. ვეფხვაშვილი, ა. ხუციშვილი, გ. ხაილენკო — 6,5-6,5 (1-1).

ბოლო ორ ტურში (XIV, XV) კიდევ უფრო გამაჯანსაღებელი პირველი სამი ადგილისთვის, რომლებიც საქართველოს პირველობის ფინალის საცხურებს იძლევა.

ჩიკოვანმა, დ. გედევიანიშვილმა რომ დაუხვდა, მეორე დღეს ე. მიქაელიანს მოუგო. მოჭადრაკე გოგონა გურიელი საანგარიშო ტურებში მხოლოდ გედევანიშვილს შეხვდა, რადგან მეორე პარტიის თამაში შეჯიბრებიდან გასულ მ. ჭიბაშვილთან უწყვედა. პარტია გედევანიშვილთან მას დაუმთავრებელი დარჩა.

ციტიშვილმა და ციტიშვილმა 1,5-1,5 ქულა მოაგროვეს, პირველმა სძლია დ. ჯაფარიძეს, მეორემ — ა. ფრიდმანს. ყაიბზე კი ერთმანეთში შეთანხმდნენ.

უმაღლესო მთამაშე ასაღაზრდად ლიფონავა. თითხმტი შეხვედრიდან მან მხოლოდ ერთი დამთავრა ყაიბით და ისიც პირველ ტურში. ხამაგურიოდ, შვიდი პარტია მოიგო. XIV ტურში ლიფონავა დამარცხდა მაქარაშვილთან, რომელიც ფინიშზე შედეგინად იბრძვის. უკანასკნელ ექვს შეხვედრაში მან 4,5 ქულა მოაგროვა. XV ტურში ლიფონავამ სძლია ჯაფარიძეს.

ჭადრაკი

რძიქს, მაჭარაშვილი კი თ. ხუგაშვილს დაუხვდა. სათანამო დარჩა ორი ტური. ჩიკოვანს მეტოქეებზე გყოლება მაჭარაშვილი და ჯაფარიძე, გურიელს — ხაილენკო და მიქაელიანი, ციტიშვილს — მ. მაჩაიძე და ჩიკოვაძე, ციტიშვილს — ლიფონავა და ხუგაშვილი. დღეს მონაწილენი გადადებულ პარტიებს დამთავრებენ.

ფინალში გავიდნენ

ალმა-ათამი შედგა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს გუნდური პირველობის ერთ-ერთი შესარჩევი მატჩი საქართველოსა და ყაზახეთის „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოების მოჭადრაკეთა ნაკრებ გუნდებს შორის.

წარმატებით ითანამშეს საქართველოს წარგზავნილებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 4,5-3,5. გათავაზობთ შეხვედრათა შედეგებს: (პირველად დასასრულებული არიან საქართველოს დინამოელები): გ. ხაიჩიკი — ა. ივანოვი 1:1; დ. გედევანიშვილი — ო. ნურუმბეტოვი 1:1; მ. ძნელაძე — რ. სელოვი 1:1; ი. კუზმინი — რ. ალიასეპიევი — 1,5-0,5. აღსანიშნავია, რომ ჩვენ გუნდს გამარჯვება 15 წლის ოსტატობის კანდიდატმა იგორ კუზმინმა მოუტანა.

ჩვენის რესპუბლიკის წარმომადგენლები გაიდნენ ფინალში, რომელიც 9-22 მარტს ქ. მუკაჩევოში გაიმართება.

გ. ფაილიანი, საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელი ჭადრაკში.

ფიზიკური აღზრდა — ბავშვობიდან!

მნიშვნელობაზე, ყურადღება გაამახვილეს ნაკლოვან მხარეებზე. აღინიშნა, რომ რაიონის ზოგიერთ საბავშვო ბაღში და სკოლაში უგულვებლყოფილია ფიზკულტურული მუშაობა, არ ზრუნავენ საკუთარ ძალეებით მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობაზეც კი. კონფერენციის მონაწილეებმა გულსიტყვილი აღნიშნეს, რომ ფიზიკური კულტურის მეტოდური ლიტერატურა ძალზე მცირე ტირაჟით გამოდის და ხშირად სკოლაშვილზე ვერ აღწევს. გამოთქვა სურვილი, მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საკითხებს უფრო ხშირად დაუთმოს ადგილი გამოცემა „მარტემა“, გაზეთებმა „სახალხო განათლება“ და „ლელო“; მოეწყოს ტელეგადამცემი

ახალი პროგრამით სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ისე როგორც ეს სხვა საგნებში ეწყობა. კონფერენციის მონაწილეებს თავის სპორტულ გზაზე, მომავლის გეგმებზე ესაუბრა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სამბოში დ. ბოდაველი. მან პასუხი გასცა დამსწრეთა მრავალ შეკითხვას. კონფერენციამ რაიონში მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით მიიღო რეკომენდაციები. თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილენი დავსწრენი დავითის 1-ლ და მე-2 საბავშვო ბავაბაღებში გამართულ სპორტულ დღესასწაულს.

გ. სიანაძე

საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ა. ციხაძე დაასრულა წიგნი „მედიცინაში მინა კადნიერი“...

მეორე საუკუნის ოცდაათიანი წლები იწოდება. იმერეთი მთელი ფარსმანი ცოლ-შვილითა და ამალითურთ მარადიულ ქალაქ რომს უსტუმრდა...

ფარსმანი არ გააკვირვებია მას შემდეგ, რაც მისი მშობლები დაიბრუნდნენ. მისი მშობლები არიან გამოყვანილი გლადიატორები...

ტრიბუნუსზე მენდარენი გამდობდნენ და დამსრუთებულ აბცესს საინტერესო სახანაბობის დაწყება...

გლადიატორთა ორივე გუნდში 20-20 კაცი შედიოდა. ერთი გუნდი ლურჯ ტრუსებში გამოწყობილიყო, მეორე — წითელში...

შესრულდა, რომ ირგვლივ ვაშამ იქუნა. დედოფალმა მადლობა გადაუხადა ჰაბუსს...

...სარბიელზე გლადიატორთა ასალი გუნდი გამოიყვანეს. მებრძოლებს ხელთ რომელი მოკლე მასილი ემყარათ...

ახთანელი ციხაძე

იბერიელთა ვიზიტი

და ჩირადნით ცეცხლის ალში გასვიყვანილი. რაღაც ასალი რელიგიური მიმართულება — ქრისტიანობა გაჩნდა...

გუნდავამხდარნი გამოვიდნენ ქართველები კოლიხუმიდან; რომელთა გასართობი პროგრამა მართალია, თავისი სისასტიკით შემაძრწვნილებელი იყო...

...მარსის დიდი მოედანი დიდიდენევი აივსო. ქართველთა გამოსვლები მხოლოდ შუადღის შემდეგ უნდა დაწყებულიყო...

უნაკლოდ შეასრულა ეს გარჯობიანი ტონიანი პიუსმა ატეხტე — ვიქტორ ფარა და ფეხზე ამდგარი მიესალმა მხედრებს...

ბოლოს გაიმართა სარბიელური გამოსვლა ჩეხავში. ფარსმანი აქაც მოუშველია ფანტაზია და საჩუქრად ხის ტოტების ნაცვლად...

უფლისწული მოედნის ცენტრში დადგა. ცხენიდან ჩამოხტა, იმპერატორს მძაბლად თავი დაუკრა და ისევ ამხედრდა...

ამ ისტორიული ფაქტის შემდეგ რომელი მწერლის დირიჟირებული ჩინება აქამირსის ჩანაწერებში ჩნდება...

ასეთი წარმატება საკვებით მოსალოდნელი იყო ფარსმანისაგან, რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ ავტორი ამბობს: „იყო კაცი ასეთი შეუნიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხენ მხედარი და შემხარბიელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უნორცო“...



საქართველოს სახელმწიფო ბანკი. ზნაური. რაიონის მოზარდებთან ჩემპიონატში 12 კაცი მონაწილეობდა...

ნესტორ ესეპუას სახელობის თასზე. მსაპიანში ჩატარდა გამოჩენილი ფალანგის — ნესტორ ესეპუას სახელობის გარდამავალი თასის გათამაშება...

პირად პირველობაში წილითი კონტეინერების მიხედვით გაიმარჯვეს პ. ქიქავაძე, ს. ბაკურაძე, ი. ნარჯანიძე, მ. ლომიძე, ვ. ნარსიანიძე, გ. ქვალაძე, მ. გუგუზაძე და დ. ჩიქოვანიძე.

კალთაბურთის

ლიდარი უცვლელია

ლიდარული გრძელდება უმცირესი ლიგის კალთაბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები.

პირველი ღრის ბოლო შეხვედრაში მოსკოველმა არბიელმა სპორტსმენმა სვერდლოვსკის „ურალმა“ — 73:72.

მეორე ღრის თამაშები ასე დაბრუნდა: ტტტ (რიგა) — „სტალი“ (დნეპროპეტროვსკი) 72:59, „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (პენზა) 80:70, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ცსკა 60:59, „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) — „უნივერსიტეტი“ (ალმა-ათა) 79:64, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 98:84, „კიბორკიტისი“ (ვილნიუსი) — „ურალმაში“ 79:81.

მესამე ღრეს კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა აქტიუმი ტტტ-მ, ამჯერად დამარცხა „უნივერსიტეტი“ — 61:47. სხვა მატჩები ასე დასრულდა: „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) 66:104, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „კიბორკიტისი“ 55:58, „სპარტაკი“ (პენზა) — „ურალმაში“ 59:64, „სტალი“ — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 74:83, „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა 62:61.

მაგიდის ჩოგბურთი

მაგიდის ჩოგბურთი

უპირატესობით

პირველი ღრის მეორე ტურში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა დაიწყეს მატჩები. მათში უმასპინძლა იუგოსლავიის გუნდს და გაიმარჯვა ანგარიშით 6:1.

დარჩენილ ორ მატჩს საბჭოთა წარმომადგენლებმა (9 თებერვალს) და საფრანგეთის (9 აპრილს) ჩაატარებს (საყვარელი).

ჩემპიონის ფოტოდას

რუსთაიის ახალგაზრდა საჭადრაკო კლუბში დამთავრდა საჭადრაკო ჩემპიონატი ასუკრიან შაში. 12 მონაწილეს შორის იყო ერთი გოგონა — ოსტატობის კანდიდატი ქ. ნასარაია.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ა. გუბელამ (ფოტო) — 8 ქულა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა თბილისელი ა. სამადაშვილი. III ადგილზეა სამტრედიელი გ. გვირია — 7. მოშვე გონამ 6,5 ქულით IV ადგილი დაიკავა. შეჯიბრების მთავარმა მსაჯამა —

პირველმა ქართველმა ოსტატმა შაში თ. ბარამიძემ განაცხადა, რომ ბოლო დროს საგრძობლად ამაღლდა ჭაბუკ მოშვეთა თამაშის დონე. ახალი ჩემპიონის გუნდობის წინსვლაში დიდი აწვავი მიუძღვის ფოტის უხუცეს მწვრთნელს ა. ფეიდერს.

რ. გაბრიძემ.

სურათზე: ჩემპიონატის პრიზორები (მარცხნიდან): ა. გუბელამი, გ. გვირია, ა. სამადაშვილი, ავტორის ფოტო.



„ნაღველი“ პრიზუმი

გოსპოვი, 19 იანვარი. წამთრის დახურულ დარბაზში გრძელდება ტრადიციული საფეხბურთო ტურნირი „ნაღველის“ პრიზუმი. ცსკა აგებდა პირველ ტაიმს ჩემპიონობისთვის „ბოჰემიანსთან“ (პრაღა), მაგრამ შეძლო გახდა ტაიმის შეტანა თამაშში და 3 უბასუხო ბურთის გატანა. არბიელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბელენკოვი, რომელიც აქ მოსკოვის „ტორედოდან“ გადმოვიდა. მან პენალტით გაიტანა მესამე, გადამწყვეტი ბურთი და უნარიანად უხვლმძღვანელ პარტნიორთან თამაშს. კიდევ თითო გოლი გაიტანეს გრიგორიევი და კოლოდკინი. სტუმართაგან თავი გამოიჩინეს შტოლმა და კოლმუჩეკმა (პენალტი).

აკმა“ დიდი უპირატესობით დაამარცხა ოლესის „ჩერნომორცი“ — 3:0.

პისკაროვის მიერ გატანილი ერთადერთი გოლი მოსკოვის „ლოკომოტივის“ გამარჯვება მოუტანა ალმა-ათის „ქაირათთან“ შეხვედრაში.

ლიდარული. 18 იანვარს ფრედ ითამაშეს კიევის „დინამომ“ ლონდონის „შატილთან“ და ბაქოს „ნეფთჩიმ“ — ლენინგრადის „დინამოსთან“. ორივე შემთხვევაში ანგარიში იყო 1:1.

19 იანვარს ადგილობრივმა „ზენიტმა“ მარცხი იწვნია ვოროშილოვგრადის „ზარისთან“ — 0:1. ერთადერთი გოლი 86-ე წუთში გაიტანა კუკსოვამ.

კალთაბურთის საერთაშორისო

ფედერაციის კალენდარში თვალსაჩინო ადგილი უკავია ევროპის საკლუბო ტურნირებს, რომლებიც თავისი მნიშვნელობით მხოლოდ კონტინენტის ჩემპიონატს თუ ჩემპიონატებს, პოპულარობით კი უსესაძლოა აჭარბებს კიდევ მას. ამა თუ იმ შეჯიბრების პოპულარობა, როგორც წესი, მასში მონაწილე გუნდების რაოდენობით განისაზღვრება. ამ მაჩვენებლის მიხედვით ევროპის საკლუბო ტურნირებს ბადალი არ ჰყავს.

გასული წლის ოქტომბერში სტარტა მიეცა ევროპული ტურნირების მორიგ გათამაშებას, რომელშიც დაკავშირებული აღმოჩნდა კონტინენტის 23 ქვეყნის 114 კლუბი. სსრ კავშირი ამ ასპარეზობაში არც ერთი გუნდით არ არის წარმოდგენილი, მაგრამ კალთაბურთის საკავშირო ფედერაციის გადამწყვეტილებით ჩვენს ქვეყანას მომავალ გათამაშებაში უსათუოდ ეყოლება თავისი წარმომადგენლები.

ოქტომბრის სტარტების შემდეგ კარგა დიდი ხანი გავიდა და, ცხადია მონაწილეთა რაოდენობა ერთ-ერთად შემცირდა. გადამწყვეტ ეტაპზე ვერ მიაღწიეს ბელგიის, შვეიცარიის, პორტუგალიის, ფინეთისა და თურქეთის გუნდებმა. ისინი სხვადასხვა პერიოდში გამოეთიშნენ ასპარეზობას.

ყველაზე უკეთესი მდგომარეობა წლებადულ გათამაშებებში იტალიელებს აქვთ. ამ ქვეყნის ყველა 10 გუნდი განაგრძობს ბრძოლას საბატიო ტიტულისთვის ექვს შეჯიბრებაში. იტალიელი კალთაბურთელებს წარმატებას იმიტომ უზღვევს მათი მთავარი მათ შორის ისაა, რომ ამ ქვეყნის კლუბებმა ფართოდ დანერგეს ამერიკული ექსპორტის პრაქტიკა, რაც უსათუოდ იძლევა ნაყოფს.

როგორც ყოველთვის, წარმატებით იბრძვიან საფრანგეთისა და იუგოსლავიის გუნდებიც, თუმცა მათი რამდენიმე კოლექტივი უკვე გამოეთიშა ასპარეზობას.

ბრადიციულად ყურადღების ცენტრშია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თათის გათამაშება ვაუთა შორის. ბოლო წლებში ამ მეტად პოპულარული ტურნირის ფორმულა რამდენიმე შეიცვალა. ახლა ასპარეზობა ორ ნაწილად დაყოფილია — წინასწარი შეხვედრები და ფინალური ტურნირი. წინასწარმა შეხვედრებმა უნდა გამოავლინოს ექვსი ფინალისტი, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას მთავარი ჯილდოსთვის.

წარმატებით განვლო პირველი ეტაპი თათის მრავალგზის მფლობელი მარტიის „რემოსი“ და იტალიის ცნობილმა კლუბმა ვარეზედან „მობილჩიკიმ“. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „რემოსი“ წარმატება. ესპანელები ყოველ მატჩში 115 ქულას აგროვებენ, რაც თავდაპირველად მაღალ შედეგად ითვლებოდა.

„მობილჩიკის“ მთავარი კონკურენტი იყო ბელჯიის „დინამო“. იტალიელებმა ორჯერ დაამარცხეს ეს გუნდი და ფინალურ ექვსეულში თამაშის უფლება გაინაღდეს.

თუ „ა“ და „ბ“ ჯგუფის ლიდერებმა შედარებით იოლად გაინაღდეს ფინალში მონაწილეობის უფლება, საფრანგეთის „ასელი“,

შვეიცის „ალეკი“ და იუგოსლავიის „იუგოსლავტიკა“ მხოლოდ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით გავიდნენ გათამაშების მომდევნო ეტაპში.

„იუგოსლავტიკამ“, რომლის შემადგენლობაში თამაშობს ევროპის ორი ჩემპიონი ერაოვი და რადოვანოვიჩი, აჯობა საბერძნეთის „პანათინაიკოსს“.

ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა ტურნირი იმ ჯგუფში, სადაც გამოდიოდნენ შვეიცის, თურქეთის, ავსტრიისა და ჩემოსლოვაკიის ჩემპიონები. თურქეთის „ექსპანსიონის“ დაამარცხა ვენისა და ბრნის გუნდები, მაგრამ მხოლოდნაღველი წაიბორძიკა „ალეკთან“ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში. ამ უქანსკენელმა თავის მხრივ ორი შეხვედრა

ჩემპიონობის საკლუბო ტურნირებზე

დამო (ავსტრიელებთან და ჩემოსლოვაკელებთან), მაგრამ ბოლო მატჩები საკუთარ მოედანზე დამაჯერებლად ჩაატარა და ფინლის საგზური მიიღო.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თათის გათამაშების ფინალში ამჯერად თამაშობენ: „რემოსი“, „მობილჩიკი“, „ასელი“, „ალეკი“, „იუგოსლავტიკა“ და თათის „შარსანელი“ მფლობელი ტელ-ავივის „მაკაბი“, რომელიც პირდაპირად დაშვებული ფინალში.

თათების მფლობელთა თათის გათამაშებაში გამოვლიდნენ ნახევარფინალისტები. ესენი არიან: „დენ ბონგი“ (პოლანდია), „გაბეტი“ (იტალია), „კაინი“ (საფრანგეთი), „კვანდრი“ (რეკი), „სინდლინი“ (იტალია), „სოდორტელი“ (შვეიცია), „სტაია“ (რუმინეთი) და „პარსელონა“ (ესპანეთი).

კალთა ტურნირებში მდგომარეობა ჯერ ნათელი არ არის, თუმცა ფავორიტები დამაჯერებლად მიიწვევენ მიზნისკენ. ასე მაგალითად, ექვს არ იწვევს „ჩემოსის“ (იტალია), „კლერმონ-ფერანის“ (საფრანგეთი), „რეალ ცელტას“ (ესპანეთი), „სპარტას“ (ჩემოსლოვაკია) მონაწილეობა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თათის გადამწყვეტ მატჩებში.

ჩვენ ამ ტურნირების შედეგებზე ასე დაწვრილებით იმიტომ შეეჩერდით, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მომავალ გათამაშებაში საბჭოთა გუნდებს სწორედ ამ კლუბებთან მოუხდება ბრძოლა, ხოლო ვინ რომელ ასპარეზობაში გამოვა, ამაზე პასუხს გასცემს სსრ კავშირის 45-ე ჩემპიონატი.

6. ახალგაზრდანი. რედაქტორი ა. ბასილია.



სპორტი — ნორჩი მხატვრების თვალში

გაშვების თვლით დანახული საბჭოთა მეტად თავისებურია, რომანტიკული და, ხშირად, ფანტასტიკურიც. თუმცა თვით ბავშვებისთვის აქ არაჩვეულებრივი არაფერია, ეს მათი სამყაროა, გარემოს ხევისა და ასახვის მათეული „ბელაშეა“. ნორჩების ნახატებს რომ ათვლიერებ, თვალწინ გეშლება არა მარტო მათი მისწრაფებები და ოცნებები, არამედ ჩვენს მიერ განვლილი გზის ცალკეული ეპიზოდები...

სპორტულ თემებზე შესრულებული ნახატების გამოფენამ, რომელიც ბავშვთა ნახატების გალერეაში მოეწყო.

ძირითადად ბავშვებს თავიანთი ყოველდღიური ცხოვრება აუსახავთ: ფიზკულტურა სკოლაში, ხანში, ეზოში, გარემოსა და დისკვენების ადგილებში.

საინტერესოა, რომ პატარა მხატვრებს ზოგიერთი საკითხი ფანტაზიის წყალობით ისე „აღვიწიდა“ გადაწყვეტილი, რომ გამოცდილ სპორტსმენებსა და სპეციალისტებსაც შემურდებოთ. ვფიქრ-


ობთ, ეს თავისებურ მიმზიდველ და განუმეორებელ ელფერს აძლევს მათს ხელოვნებას.

სურათები ავტორთა მხიარულ განწყობას გადმოგვცემს და ეს გასაგებია, რადგან პატარებს ფიზკულტურისა და სპორტში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სილაღე, მხიარული განწყობილება, გართობა იზიდავს.

ყურადღებას იპყრობს ბავშვთა იუმორი. აქაც ფიზკულტურის შეჯიბრების თუ მისი ცალკეული ეპიზოდებისადმი ბავშვების დამოკიდებულება ჩანს. აი, მაგალითად, ნახატი, სადაც ჭილაობაში შეჯიბრების საზეიმო წუთებია ასახული: გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ღვას სამი ფალოანი. უმალღეს საფეხურზე მდგომ სპორტსმენს სხიარულსგან სახე ფართოდ გაბადრიდა, მეორე ადგილზე გასულ მოპირდავეს ასე თუ ისე სერიოზული სახე აქვს, მესამე კი... თავიანტინდრული, მხრებში უშნოდ აწურულია.

ყოველი სურათი თავისებურად საინტერესოა, ყოველი მათგანი ავტორის მისწრაფებებს, განწყობასა და ბუნებას გვიშლის. შესაძლოა, ბავშვთა მიერ ფიზკულტურისა და სპორტის თემაზე შექმნილმა ნახატებმა, მათში ნორჩების შინაგანი სამყაროს ამოკითხვამ ამ დარგში მომუშავე პედაგოგების საქმიანობა ახალი მეთოდებითა და ფორმებით გაამდიდროს.

ბ. ხილია.



გაზეთი გამოდის უცვლელად, გარდა ორგანიზაციისა და გარასკეცისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპუტატებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 99-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 99-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 99-97-56; მახობრე ფიზკულტურის მუშაობის — 99-97-55; სპორტის პროპაგანდა — 99-97-57; მოსწავლე და ხოვლის ახალგაზრდობის — 99-97-53; ვალრაიის — 99-97-26; სამხატვრო — 99-97-52; წერილების — 99-97-54; კორექტორები — 99-97-49; გამოშვება — 99-98-81; ფოტოლაბორატორია — 99-97-58; მენაქანეები — 99-97-51.